ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	060307

ქვეპროგრამის დასახელება:

ჟანგბადის კონცენტრატორებით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2026 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	355,500
სულ ბიუჯეტი:	355,500

ქვეპროგრამის მიზანი:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, სოციალური და მორალური მხარდაჭერა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს აჭარის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მოქმედი პირველადი ჯანდაცვისა და ა(ა)იპ ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრებისათვის ჟანგბადის კონცენტრატორების გადაცემას შემდგომში მათ მიერ ოჯახის/სოფლის ექიმების ტექნიკური მხარდაჭერის მიზნით, მოწყვლადი ჯგუფებისათვის სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად.

ქვეპროგრამის ფარგლებში შეძენილი ჟანგბადის კონცენტრატორების უსასყიდლო გადაცემა განხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მომსახურების მომწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.

მოწყვლად ჯგუფს განეკუთვნება განსაზღვრული სოციალური კატეგორიის მოსახლეობა, რომელთათვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სასიცოცხლო საჭიროებას წარმოადგენს ოქსიგენითერაპია ამბულატორიულ პირობებში:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მათ შორის ბავშვები;
- მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 0-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;
- ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები;
- პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი პირები;

რომლებიც 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ხოლო 18 წლამდე ასაკის პირის შემთხვევაში 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ერთი-ერთი მშობელი მაინც უწყვეტადაა რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. წყვეტილობის არსებობის შემთხვევაში, პირი არ უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორიის გარეთ.

მოქალაქისათვის ჟანგბადის კონცენტრატორის დროებით სარგებლობაში გადაცემის საფუძველს წარმოადგენს: - ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა, სადაც მითითებული უნდა იყოს ოქსიგენოთერაპიის (ჟანგბადის კონცენტრატორის) საჭიროება; - პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია; 18 წლამდე ასაკის შემთხვევაში ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია ბავშვის იდენტიფიკაცია; ამასთანავე მშობლის ან ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია (კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში, ასევე კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი); - სოციალური კატეგორიის დამადასტურებელი საბუთი.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ჟანგბადის კონცენტრატორები 5 ლიტრიანი	201	1,500	301,500
ჟანგბადის კონცენტრატორები 10 ლიტრიანი	20	2,700	54,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	221		355,500

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების შერჩევა	X	X	X	X
ელექტრონული ტენდერის გამოცხადება	X	X	X	X
მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებებზე ჟანგბადის კონცენტრატორების გადაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

მოსახლეობის მომსახურების დროული და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, ასევე ოჯახის/სოფლის ექიმების ტექნიკური მხარდაჭერა უზრუნველყოფილია, ბენეფიციართა და მათი ოჯახების სოციალური და მორალური მხარდაჭერა გაწეულია, ცხოვრების ხარისხი გაუმჯობესებულია.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
მოსახლეობის მომსახურების დროული და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, ასევე ოჯახის/სოფლის ექიმების ტექნიკური მხარდაჭერა უზრუნველყოფილია, ბენეფიციართა და მათი ოჯახების სოციალური და მორალური მხარდაჭერა გაწეულია, ცხოვრების ხარისხი გაუმჯობესებულია.	ჟანგბადის კონცენტრატორის რაოდენობა	221	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული კორესპოდენციის ანალიზი